# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ოთხშაბათი, 19 ივნისი 1996 № 53 (278) | ფასი 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი 4:1 ჰოლანდია

ზურაბ მექველია, დავით მჭედლიშვილი
ლონდონიდან

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სიმენი | 1 | ვან დერ სარი |
| 2 | გ. ნევილი | 2 | რაიციგერი |
| 3 | პირსი | 3 | ბლინდი |
| 4 | ინსი | 15 | ბოგარდი |
| 5 | ადამსი | 4 | ზეედორფი |
| 6 | საუთგეიტი | 6 | დე ბური |
| 8 | გესკოინი | 12 | ვინტერი |
| 17 | მაკმანამანი | 14 | ვიჩხე |
| 9 | შირერი | 10 | ბერხკამპი |
| 10 | შერინგემი | 11 | ჰუქსტრა |
| 11 | ანდერტონი | 17 | კრუიფი |

შეცვლა: ვიჩხე — 18 დე კოკი (46), ინსი — 7 პლატი (65), დე ბური — 20 კოკუ (73), ჰუქსტრა — 9 კლუივერტი (73), შირერი — 14 ბარმბი (76), შერინგემი — 21 ფაულერი (76)

გაფრთხილება: ვინტერი, ბლინდი, შერინგემი, ინსი, ბერხკამპი, საუთგეიტი

1:0 შირერი (23), 2:0 შერინგემი (51), 3:0 შირერი (57), 4:0 შერინგემი (62), 4:1 კლუივერტი (76)

მსაჯი: გ. გრაბერი (ავსტრია)

18 ივნისი. „უემბლი"

ინგლისელთა გარდა ვის გაუხარდა ჰოლანდიელთა გამანადგურებელი მარცხი? ალბათ, ედგარ დევიდსს. იგი (თუ არ ვაბრალებთ) ნარინჯისფერთა თავს დატეხილ საშინელებას პირადად გუს ჰიდინკის ფიასკოდ მიიღებდა. წარმოიდგინეთ, დევიდსი მწვრთნელზე ისეთ ინტერვიუს იძლევა, რომ ტელევიზიით საკმაოდ ბევრ სიტყვას „ჰრიან", გაზეთებში კი ამ სიტყვების ნაცვლად სამ წერტილს სვამენ, ეს მწვრთნელი კი ამ ამბიდან რამდენიმე დღეში 1:4-ს აგებს.

ამ... არ იცის, რას აკეთებს. ეს... მხოლოდ თავის საყვარელ მოთამაშეებს უგდებს ყურს და ასე შემდეგ.

წინა, შვეიცარიელებთან შეხვედრის შემდეგ ჰიდინკი კლარენს ზეედორფმაც გააკრიტიკა, მაგრამ არ ულანძღავს და ეს საშინელებად არავის ალუქვამს.

ასე იყო თუ ისე, წუხელ „უემბლიზე" კაცმა, რომელმაც ორიოდ დღის წინ გუნდში ყველას აჩვენა, თუ ვინ არის მთავარი, გაიყვანა გუნდი, რომელმაც დიდი ანგარიშით წააგო. არადა, თამაში კარგი სანახავი იყო. პირველ ტაიმში თვალსასეირო ბრძოლა გაიმართა, აი, მეორეში კი ჰოლანდიელები მოჭიდავეთა საწვრთნელ ტიკინას დაემსგავსნენ, მოვარჯიშე როგორც მოეპრიანება, ისე რომ ათრევს.

და მაინც, ნიდერლანდის ნაკრები გადარჩა. თამაშის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე პატრიკ კლუივერტს გოლი რომ არ გაეტანა, ისინი ჩემპიონატიდან შინ უნდა გაბრუნებულიყვნენ, რადგან იმავდროულად



ბუშინ ალან შირერი 4 გოლით ბომბარდირთა ლიდერი გახდა

შოტლანდია შვეიცარიას უგებდა და ისე გამოდიოდა, რომ ბურთების უკეთესი სხვაობით (საკუთრივ ჰოლანდია — შოტლანდია 0:0 დამთავრდა) მეოთხედფინალში სტოთები გადიოდნენ.

ჰო, მართლა, მწვრთნელზე დენის ბერხკამპიც გულაყრილი იყო. ჩემზე პრესაში როგორ თქვა, წინა შეხვედრა გამოცდა იყოო, ჩიოდა „არსენალის" ფორვარდი. თუ ამგვარს ფიქრობდა, პირში რად არ მითხრაო. სხვათა შორის, ამ თამაშის შესახებ წინასწარ იმგვარი ჭორიც დადიოდა, გუნდები მოილაპარაკებენო. ამ ხმებს პირველნი თავად ჰოლანდიელები ალუდგნენ წინ. ჰიდინკმაც და ბერხკამპმაც სასტიკად შეიცხადეს და თქვეს, ასეთ რამეებს არც ინგლისელები კადრულობენ და არც ჩვენ გვიკადრია ოდესმეო.

შეხვედრა, როგორც მოგახსენეთ, ფრიად საინტერესო გამოდგა. სახიფათო მომენტები და საოცარი დაძაბულობა, სწრაფი თამაში, უშელავათო ბრძოლა პირველივე წამებიდან გაჩაღდა. 23-ე წუთზე კი გოლიც გავიდა, პენალტით: სტივ მაკმანამანმა პოლ ინსს მიაწოდა, ინსმა შესანიშნავი ფინტით საჯარიმოში შეიგდო და აქ საქმეში დენი ბლინდის ფეხი ჩაერია. დარტყმა ალან შირერმა შეასრულა — 1:0. აქ ბერხკამპი გააქტიურდა და ხან თავით, ხანაც ფეხით, საჯარიმოს გარედან თუ შიგნიდან სცადა ბედი. მე-10 წუთზე სიმენმა აუღო ძნელად მოსაგერიებელი ბურთი, რითაც თანაგუნდელ ტედი შერინგემს მატჩის მერე ათქმევინა: დღევანდელი დღის გმირი დევიდ სიმენია. მას ტაიმის მიწურულს ბერხკამპის დარტყმა რომ არ მოეგერიებინა, მეორე ტაიმში ვეღარ მოვიგებდითო. ასე მოხდებოდა თუ არა, ძნელი სათქმელია. ფაქტი ისაა, რომ მეორე ტაიმში ინგლისელებმა დიდებულად მოიგეს.

52-ე წუთი: გესქოინი კუთხურს აწვდის. შერინგემი საჯარიმოში მცველს ჰაერში სჯაბნის და თაურით ანგარიშს ზრდის. ბურთი უცნაური ტრაექტორიით გაფრინდა, არავინ ელოდა, რომ ბადეში შევარდებოდა.

57-ე წუთი: გესქოინი საჯარიმოში აარონ ვინტერს სჯობნის, პასს აწვდის შერინგემს, ის შირერს (ულამაზესი კომბინაციაა!), შირერი კი ზუსტად არტყამს.

62-ე წუთი: ანდერტონი არტყამს, ვან დერ სარი იგერიებს, მაგრამ ხელში ვერ იმაგრებს. ბურთს შერინგემი ასწრებს და მეოთხე გოლი გააქვს.

გუს ჰიდინკი: ბირმინგემში, შოტლანდია — შვეიცარიის მატჩში რა ხდებოდა, ტელეფონის საშუალებით ვიცოდი. ამიტომაც, როგორც კი მეოთხე გოლი გაგვიტანეს, ორი თავდამსხმელი შევუშვი.

ჰიდინკს გაუმართლა, მის მიერ შეყვანილმა პატრიკ კლუივერტმა 78-ე წუთზე ბერხკამპის კარგი პასი მიიღო და ნარინჯისფერთა გადამრჩენი გოლი გაიტანა. ამ ეპიზოდის მერე მწვრთნელთან ჯორდიმ მიირბინა და თამაშის დამშვიდების მითითება მიიღო.

გუს ჰიდინკი: ინგლისელებმა ფეხბურთის გაკვეთილი ჩაგვიტარეს. განსაკუთრებით მათი შემართება მინდა აღვნიშნო. გამოჩნდა ამ გუნდის დიდი პოტენციალი და ის, რომ მათ ტურნირის მსვლელობისას შეუძლიათ მომატება. გამიხარდა, რომ შემდეგ ეტაპზე მაინც გავედით. კიდევ ის იყო კარგი, რომ ჭკუის სასწავლი რამ მეოთხედფინალის წინ შეგვემთხვა.

ტერი ვენეიბლზი: მოგებას ველოდი და ვგეგმავდი კიდეც, მაგრამ ასეთ ანგარიშს რას წარმოვიდგენდი. ძალიან დამწყდა გული, შოტლანდია რომ გავარდა, მაგრამ ჩვენ რაც შეგვეძლო მათთვის, გავაკეთეთ. ერთადერთი, რაც მაფიქრებს, ისაა, რომ ვშიშობ, ჩემს ფეხბურთელებს თავს არ გაუვიდეთ და შაბათს მეოთხედფინალში ზედმეტად თავდაჯერებულნი არ გავიდნენ მოედანზე. ძალიან დაგვაკლდება პოლ ინსი, რომელმაც მეორე ყვითელი მიიღო. ისე კი, მეტად გახარებული ვარ. ჩვენ, ინგლისელებს ხომ ჰოლანდიელთათვის 1982 წლის მერე არ მოგვიგია.

ჯონ ბარნსი (ყოფილი ინგლისელი ვარსკვლავი): 1966 წლის ფინალის შემდეგ ასეთი რამ არ მინახავს. ჩვენებმა ენით აუწერლად ითამაშეს. დიდებულად მოქმედებდნენ ბურთით და, რაც მთავარია, უბურთოდ.

ალან შირერი: ახლა ჩემი თანაგუნდელები გასახდელში სვამენ თუ არა, ვერ გეტყვით. მე პირდაპირ პრეს-კონფერენციაზე მოვედი.

კიდევ — ეს თამაში მარტო გატანილი გოლებით კი არა, ქართველების დასწრებითაც იყო სარეკორდო. „უემბლიზე" კოკა-კოლის საცობ-ლატარიაში გამარჯვებული ჩვენი ათი თანამემამულე იჯდა.

მატჩის შემდეგ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯერმა თქვა: ეს დიდებული თამაში იყო. ოლეს დიდი დღეა.

ქომაგებმა სიმღერა შემოსძახეს, თასი შინ ბრუნდებაო (რომელი?). ფეხბურთელებმა კი დაიფიცეს, შაბათამდე არ დავლევთო.

# ინგლისს ფეხბურთი დაუბრუნდა...
# ...ბულგარეთს — ნაკრები

მეოთხედფინალისტები ასე დაწყვილდნენ:

ინგლისი — ესპანეთი ლონდონი 22 ივნისი ლივერპული საფრანგეთი — ჰოლანდია

„სარბიელის" რჩეული



„ტოტენჰემის" ფორვარდმა ტედი შერინგემმა თავად ორი გოლი გაუტანა ჰოლანდიას, ერთხელ კი ალან შირერსაც გაუწია ასისტენტობა

ამორის გოლმა მეოთხედფინალის საგზური ბულგარეთს დააკარგვინა, კლუივერტისამ კი — შოტლანდიას

A ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | 4 |
| შვეიცარია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

B ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| რუმინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |

„სარბიელის" რჩეული



„ბარსელონას" ნახევარმცველმა გილერმო ამორმა რუმინელთა კარში ის გოლი გაიტანა, თამაშიც რომ მოაგებინა და მეოთხედფინალშიც გაიყვანა.

## ესპანეთი 2:1 რუმინეთი

ზურაბ ფოცხვერია, დავით კაკაბაძე
ლიდსიდან

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სუბისარეტა | 12 | პრუნია |
| 2 | ლოპესი | 2 | პეტრესკუ |
| 4 | ალკორტა | 3 | პროდანი |
| 5 | აბელარდო | 6 | პოპესკუ |
| 12 | სერხი | 13 | შეიმეში |
| 20 | ნადალი | 15 | დობოში |
| 6 | იერო | 10 | ჰაჯი |
| 7 | ამავისკა | 14 | გილჩა |
| 9 | პიცი | 9 | რადუჩოიუ |
| 14 | კიკო | 18 | სტინგა |
| 17 | მანხარინი | 19 | ილიე |

შეცვლა: პიცი — 11 ალფონსო (59), აბელარდო — 18 ამორი (63), ილიე — 11 მუნტიანუ (65), ამავისკა — 8 გერერო (71), რადუჩოიუ — 21 ვლადოიუ (78), პროდანი — 5 ლუპესკუ (86)

გაფრთხილება: პოპესკუ, ჰაჯი, კიკო, ილიე, ნადალი, გილჩა

1:0 მანხარინი (11), 1:1 რადუჩოიუ (29), 2:1 ამორი (84)

მსაჯი: ა. ჩაქარი (თურქეთი)

18 ივნისი. „ელანდ როუდი"

— ამ მატჩმა ყოველგვარი პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგა, იგი მხოლოდ ოქმის შესავსებადაა საჭირო, მაგრამ ჩვენ რუმინეთის ეროვნული გუნდი ვართ და ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვა ყოველთვის ერთნაირად გვევალება — ამბობდა მატჩის წინ რუმინელი ვარსკვლავი გეორგ ჰაჯი.

სოციალისტურყოფილი ქვეყნების შვილთათვის ტრადიციად ქცეული, სამშობლოზე საუბარში ახალი და მოულოდნელი არაფერი გახლდათ. ან, თუგინდ კაპიტალისტური ქვეყნის გუნდიდან ყოფილიყო, ალბათ იგივეს იტყოდა. თამაშის დასაწყისი მართლაც ღირსეული გამოუვიდათ რუმინელებს. ისინი სწრაფად, დაჟინებით, ლაღად უტევდნენ და იმთავითვე რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს ესპანელთა კართან, რომელთაც გახურებისთვის გარკვეული დრო დასჭირდათ. არადა, მოგეხსენებათ, კარპატელთათვის გამარჯვება არაფერს ნიშნავდა პრესტიჟის გარდა, ესპანელებს კი გასვლა-არგასვლის საკითხი ჰქონდათ გადასაწყვეტი. მე-7 წუთზე ადრიან ილიემ სიღრმიდან პასი მიიღო და დაარტყა, მაგრამ უზუსტოდ. ორ წუთში იგი საჯარიმოსთან წააქციეს. მეტოქემ ოთხკაციანი კედელი აღმართა, მაგრამ რუმინელებმა მეტად უცნაურად გაათამაშეს (სამმა ფეხბურთელმა გადააწოდა ერთმანეთს და მეოთხემდა დაარტყა) და საბოლოოდ ვერაფერი მოიგეს. მერე ისევ გრძელი პასით კვლავ ილიე შედიოდა, თუმცა კვლავ უშედეგოდ — სუბისარეტამ ივარგა. და მე-11 წუთიც დადგა, როცა კონტრშეტევა დაფასდა: კიკოს პასით ამავისკამ დაარტყა, ბურთი აბელარდოს მოხვდა, მანხარინს მიუგორდა (აქ დობოშს პოზიციის შერჩევა შეეშალა) და მისი დარტყმა ზუსტი გამოდგა. სამ წუთში რადუჩოიუმ ჩაატარა უსწრაფესი გარღვევა, მაგრამ მთელი გუნდი ველარ მოატყუა და საჯარიმოს მისადგომებთან დაჰკარგა ბურთი. შემდეგ კვლავ ესპანელებმა შეუტიეს. პიცის დარტყმა პრუნიამ აიღო. ამას კიკოს შეტევა მოჰყვა, რომელსაც ბოლოწამს ბურთი აართვეს. კიკო პენალტს ითხოვდა, მაგრამ არბიტრმა სხვაგვარად განსაჯა. 29-ე წუთზე კი ყვითელფორმიანებმაც იზეიმეს. კვლავ და კვლავ გრძელი პასით, სტინგამ რომ მიაწოდა, რადუჩოიუ გავიდა სუბისარეტასთან პირისპირ და წონასწორობა აღადგინა. პირველ ტაიმში ერთიც ჩავინიშნეთ, შეიმეში მარცხენა ფრთაზე ლამაზად გაიჭრა, ჩააწოდა, მაგრამ, ესპანელთა გამოცდილმა მეკარემ ჩაუჭრა.

მეორე ნახევარში მანხარინის შეტევა იყო ეფექტური, რომელსაც გერერომ თავით დაუგდო, ამანაც დაარტყა, მაგრამ პრუნიამ ლამაზი ნახტომით აიღო. მერე, პეტრესკუმ საჯარიმოსთან ხელით ითამაშა. რუმინელებმა რვა ფეხბურთელისგან ააგეს კედელი. დარტყმული სწორედ ამ ბარიერს მოხვდა, განმეორებითი ამავისკას მოუვიდა, მან გაიტანა, მაგრამ აშკარა თამაშგარედან.

დადგა 63-ე წუთი, ანუ ის მომენტი, როდესაც ნიუკასლში „სენტ ჯეიმს პარკზე" ფრანგებმა ბულგარელებს მეორე გოლი გაუტანეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბურუსი მკვეთრად გაიფანტა და აშკარად გამოჩნდა, რომ ესპანელებს სტოიჩკოვისა და მისი თანაგუნდელების გადასწრება შეუძლიათ. ამისათვის კი ერთი გოლი იყო საჭირო.

და საქმეც ისე წავიდა, რომ ცხადი გახდა — ესპანელები ამ უძვირფასეს გოლს გაიტანდნენ.

ეს არ მოხდა 64-ე წუთზე სერხის დარტყმით. ეს არც 65-ზე განხორციელდა, ამავისკამ მობრუნებით მცველი რომ ჩამოიტოვა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. არც 73-ზე გავიდა, იერომ ახლოდან რომ ვერ გაიტანა, არადა, კიკომ ამორს კარგად გადაუგდო, მან კი იეროს მიაწოდა მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაში. არც 78-ე წუთზე მოხდა, კვლავ იეროს დარტყმა პრუნიამ რომ აიღო.

ეს 84-ე წუთზე იყო, ნადალმა თავით ნახევარმოედნიანი პასი რომ გადააწოდა ამავისკას, მან ჩააწოდა, კიკომ დააგდო ამორმა კი შანსი ხელიდან აღარ გაუშვა.

ცოტა ხანში „სენტ ჯეიმს პარკზე" ნიუკასლში ფრანგებმა მესამეც გაიტანეს...

მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე ესპანელთა მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ განაცხადა: „ძალიან ძნელი მატჩი გვქონდა, რადგან ჩვენი ფეხბურთელები მეტისმეტად ნერვიულობდნენ და შეცდომები მოსდიოდათ. რუმინეთის ნაკრები, მართალია, გამოეთიშა გათამაშებას, მაგრამ ძალიან ძლიერი გუნდია და ყოველგვარ ქებას იმსახურებს".

რუმინელთა მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ: „მიმდინარე ჩემპიონატში ჩვენ ძალიან დიდი მარცხი ვიწვნიეთ, მაგრამ ტრაგედიის შექმნა სწორი არ იქნება. ესპანელებს მოგება ძალიან სჭირდებოდათ და ჩვენზე მეტადაც იყვნენ მოწადინებულნი. მათ დამსახურებულად გაიმარჯვეს და სიამოვნებით ვულოცავ მეოთხედფინალში გასვლას".

ბოლო გოლის ავტორმა გილერმო ამორმა თქვა: „ძალიან მძიმე მატჩი გვქონდა და მით უფრო ბედნიერი ვარ, რომ გადამწყვეტი გოლი გავიტანე. ახლა მთავარია კარგად დავისვენოთ და მოვემზადოთ მეოთხედფინალური მატჩისთვის, რომელიც შაბათს „უემბლიზე" გვექნება. ამ მომენტში ამორმა არ იცოდა მომავალი მეტოქის ვინაობა. ამიტომ კითხვაზე, თუ ვის წინააღმდეგ ისურვებდა თამაშს მეოთხედფინალში, განაცხადა: „სულერთია, ინგლისის და ჰოლანდიის გუნდები ძალიან ძლიერები არიან".

# ფრანგებს რა ბოღმა ჰქონიათ

## საფრანგეთი 3:1 ბულგარეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ლამა | 1 | მიხაილოვი |
| 5 | ბლანი | 3 | ივანოვი |
| 15 | ტურამი | 17 | კრემენლიევი |
| 12 | ლიზარაზუ | 18 | ცვეტანოვი |
| 8 | დესაი | 5 | ხუბჩევი |
| 7 | დეშამპი | 6 | იანკოვი |
| 6 | გერენი | 15 | იორდანოვი |
| 19 | კარემბუ | 10 | ბალაკოვი |
| 10 | ზიდანი | 11 | ლეჩკოვი |
| 9 | ჯორკაეფი | 8 | სტოიჩკოვი |
| 13 | დუგარი | 9 | პენევი |

შეცვლა: ზიდანი — 18 პედროსი (62), დუგარი — 11 ლოკო (70), იანკოვი — 16 ბორიმიროვი (79), ბალაკოვი — 20 დონკოვი (82)

გაფრთხილება: დესაი, კრემენლიევი, ივანოვი, დუგარი

1:0 ბლანი (21), 2:0 პენევი (საკუთარ კარში 63), 2:1 სტოიჩკოვი (69), 3:1 ლოკო (90)

მსაჯი: დ. გალაჰერი, 27-ე წუთიდან პ. დარკინი (ორივე ინგლისი)

18 ივნისი. ნიუკასლი. „სენტ ჯეიმს პარკი"

საფრანგეთისა და ბულგარეთის შეხვედრას წმინდა სპორტული თვალსაზრისის გარდა სხვა დიდი მუხტიც ჰქონდა. არც ფრანგებს და არც ბალკანელებს არ დავიწყნოდათ წინა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, რომელშიც კოსტადინოვის ორმა გოლმა ფრანგებს ამერიკის საგზური დააკარგვინა. გუშინდელი მატჩის წინ, ჯერ იყო და, სტოიჩკოვი იქადნებოდა, ფრანგებს ის ძველი ამბავი უნდა გავუმეოროთ და გავახსენოთო. მას მწვრთნელი დიმიტარ პენევიც უკრავდა კვერს: ევენი ისე ძლიერები აღარ არიან, როგორც მაშინ, ჩვენ რომ მოვუგეთ. და საერთოდ, საფ-



მე-17 წუთზე მსაჯ გალაჰერს კუნთი დაეჭიმა

რანგეთის ნაკრები პაპენის, კანტონას და ჟინოლას გარეშე იგივეა, რაც ხარჩო უბრინჯოდო. ვისაც როგორ უნდა, ისე იფიქროს, მაგრამ ინგლისურმა მედიამ ეს სიტყვები ბულგარელთა მორიგ ხრიკად ჩათვალა. არის ხოლმე სპორტში (ცხოვრებაშიც ასეა) ისეთი შემთხვევა, როცა მეტოქე ტყუილად ბაქიბუქობს. იცის, ბევრს ვერას დაგაკლებს, მაგრამ მაინც გექადნება, ვინძლო, სულიერად დავცეთო მოწინააღმდეგე. ვის ვის და, სამფეროვანთ კი ამ თამაშის წინ ვერაფერი შეაშინებდათ, რადგან ბულგარელებს ის წყეული ემილი არ ჰყავდათ და, რაგინდ პარადოქსალურად არ უნდა მოგეჩვენოთ, ძირითადში ლუბოსლავ (მოფერებით ლუბოს რომ ეძახიან) პენევი ევნოთ.

თუმცა, ვიდრე პენევისა და, მეტადრე, ფრანგთა ნავაჟკაცარზე მოგახსენებდეთ, სჯობს, თამაშს თავიდან მივყვეთ.

ბულგარელებმა შეხვედრაც ისეთივე სულისკვეთებით დაიწყეს, როგორიც მატჩისწინა განწყობა ჰქონდათ. ჯერ სტოიჩკოვმა აკიდა დესაის ჯარიმა და ლამა რომ არა, ანგარიშსაც კვლავინდებურად მე-3 წუთზევე გახსნიდა. მერე წაქცეული ლეჩკოვი ლიზარაზუს, დესაის და გერენს დაუძვრა, საჯარიმოშიც ჩააწოდა, მაგრამ მოუხეშავმა პენევმა ბურთს ფეხი ვერ დაუხვედრა. საღლაც, 15-ე წუთისთვის ფრანგებმაც გამოიღეს ხელი. მათაც ჯარიმით დაიწყეს და ზიდანის მიერ კედელზე შემოტარებულს ამჯერად მიხაილოვი დაუხვდა ადგილზე. 3 წუთში კვლავ ლამამ იყოჩაღა. ბულგარელთა მიერ ჩამოწოდებულ კუთხურზე დროულად გავიდა და მეტოქის თავდამსხმელებს ბურთი ცხვირწინ ააცალა. ამ ორ ეპიზოდს შორის კი ერთი ისეთი საინტერესო რამ მოხდა, რამაც ათ წუთში ასეთ დიდ ფორუმთათვის უპრეცედენტო შემთხვევას დაუდო სათავე. 17-ე წუთზე ინგლისელმა მსაჯმა დევიდ გალაჰერმა თამაში გააჩერა და ბულგარელთა ექიმს დახმარება სთხოვა. არა, ვინმე მოთამაშეთაგანი კი არ დაშავებულა, თავად მსაჯმა მიიღო ტრავმა — კუნთი დაეჭიმა. გალაჰერი ერთხანს კი გაუძალიანდა ტკივილს, მაგრამ 27-ე წუთისთვის იძულებული შეიქნა სასტვენი სამარქაფო — პოლ დარკინსთვის დაეთმო. ამან პირველად გაამართლა სათადარიგო მსაჯის არსებობა, თორემ მწვრთნელთა დაშოშმინებასა და შეცვლებისას მინი-ელექტროტაბლოს ღილაკზე თითის დაჭერას, აბა, რა ფიფას არბიტრი უნდა, ეს ხომ ნებისმიერზრდილ ადამიანსაც ხელეწიფება.

21-ე წუთზე ფრანგებმა კუთხურის გათამაშების უფლება მოიპოვეს. მთელი გუნდი მეტოქის საჯარიმოში ჩავიდა. აქ იყვნენ მცველებიც — ტურამი, ლიზარაზუ, ბლანი, რაკილა თავისთან დასაჭერი აღარავინ ჰყავდათ. ბულგარელებიც მთელი გუნდით იცავდნენ თავს და მათმა თავდამსხმელებმა მეურვენიც საკუთარ საჯარიმოში ჩამოიყვანეს. სწორედ პენევის აჩრდილადქცეულმა ბლანმა აჯობა უშუალო მეტოქეს და ჯორკაეფის მიერ მოწოდებული კუთხური თავით გადაგზავნა მიხაილოვის კარში. პენევ — ბლანის დუელი მეორე ტაიმშიც გამეორდა, ამჯერად პირველმა დაასწრო, თავით იმარჯვა და ბურთიც გაიტანა... ოღონდ საკუთარ კარში. ჯარიმა ისევ ჯორკაეფმა მოაწოდა. ფრანგთა (უკაცრავად, ფრანგთა და პენევის) გოლებს შორის კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. მათზე ყურადღების გამახვილება, მგონი, რომ ღირს, რადგან სხვაფრივ, ბაქია ბულგარელთა სასასრგებლოდ ცალუღელა სტოიჩკოვის თამაშის გარდა ვერაფერი იმეტყველებს. მართლაცდა, მათ ამ ჩემპიონატზე ერთ-ერთი უსუსტესი მატჩი ითამაშეს. უფრო სწორად თუ ვიტყვით, ფრანგები დაუხვდნენ უკბილო ესპანელებსა და უთავმოყვარეო რუმინელებზე უკეთ. ბულგარელებმა პირველად გაუშვეს პირველი გოლი და ისე ბრინჯივით დაიბნენ და აირივნენ, კონკიადწოდებული „პარმას" მოთამაშის ხრისტო სტოიჩკოვის ბრწყინვალე გოლმაც ვერ მოკრიბა. ერთადერთი, ვინც გუნდის ლიდერს მხარს ღირსეულად უბამდა, მეკარე ბორისლავ მიხაილოვი იყო, თუმცა მისი თავდაცვითი არსენალიც ამოიწურა, როცა ფრანგთა ძლევამოსილ არტილერიას გადააწყდა. მეკარეთა საგანგებოდ პროფესიულად შემფასებელი არ გახლავართ, მაგრამ შეუძლებლად ვცანი, სამი გაშვებული ბურთის (მიხაილოვს ბრალი მხოლოდ მესამე გოლში ედო) წილ ბულგარელთა მეკარის შესანიშნავი თამაშიც არ აღმენიშნა. მან ჯერ ხუბჩევის დაშვებული უხეში შეცდომა გამოასწორა და დუგარის შუკერის სტილში გატანა არ დაანება, მერე ორგზის ჯორკაეფი არ გაახარა. თუმცა, ამ უკანასკნელთან ორთაბრძოლაში ერთხელაც უძლური შეიქნა, როცა მეტოქემ ბურთი ფეხებში გაუტარა და ტრიფონ ივანოვს რომ არ გადაეგდო კუთხურზე, გოლი გარდაუვალი იქნებოდა.

მეკარისთვის მხარის აბმა დაცვამაც სცადა, მაგრამ ისე უხეიროდ ასრულებდნენ ხელოვნურ თამაშგარეებს, ნათლად ჩანდა, ფრანგთა თავდასხმა უცილობლად დასჯიდა. აკი აუგო თამაშის ბოლო წუთზე ლოკომ წესი. ამჯერად მიხაილოვი ისევ შეცდა — წინ გამოვიდა, ჩაწოლით ბურთს ვერ წაეტანა და თავდამსხმელსღა გამოსდო ხელი, მაგრამ შეცვლაზე შემოსული ლოკო მაგრად დაუდგა, გასცდა და ევროპის ჩემპიონატზე თავისი პირველი გოლიც გაიტანა.

ფრანგებმა ბრწყინვალედ ითამაშეს, დაცვაშიც, ნახევარდაცვაშიც და თავდასხმაშიც. არც მეკარე ლამას გამოუჩენია ცრუ არაორდინალურობით თავი. ოღონდ, ეგ იყო, სტოიჩკოვის მიერ შესრულებულ ჯარიმას ვერც ლამამ მოუხერხა რამე და ეს გოლიც მატჩის ულამაზესი გოლი შეიქნა. ხრისტომ თავისი კი გააკეთა, მაგრამ რა?! ფრანგებმა სამაგალითოდ იძიეს შური იმ წაგებისთვის, რომელზეც თავში მოგახსენებდით. ამჯერად მათ დააკარგვინეს ბულგარელებს მეოთხედფინალის საგზური. ასეა. სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს.

ვახტანგ ბზიკაძე

> **„სარბიელის" რჩეული**
>
> **ლორან ბლანს დაცვაში ბევრი საქმე არა ჰქონია, რადგან სტოიჩკოვს დესაიც უმკლავდებოდა, პენევს კი, აბა, რა დაჭერა სჭირდებოდა. ბლანიც ადგა და, ლუბო პენევს მისსავე საჯარიმოში გაუმართა დუელი — ჯერ თავად აჯობა, მერე კი იხეთ დღეში ჩააგდო, საკუთარ კარში ბურთი გაატანინა. ბლანის მიერ გატანილმა პირველმა გოლმა მუსიკის შემკვეთი გუნდის ვინაობა გაარკვია, მისივე მონდომებით გატანილმა მეორემ კი თამაშის ბედი გადაწყვიტა.**

## შოტლანდია 1:0 შვეიცარია

# მამაცი გულების ტყუილად ჩეთქვა

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | გორამი | 1 | პასკოლო |
| 16 | ბერლი | 2 | ჰოტიგერი |
| 4 | კალდერვუდი | 15 | ვეგა |
| 5 | ჰენდრი | 4 | ენჩოსი |
| 3 | ბოიდი | 3 | კენტენი |
| 11 | კოლინზი | 16 | კოლერი |
| 10 | მაკალისტერი | 17 | ფოგელი |
| 17 | მაკინლი | 21 | ბონვენი |
| 8 | მაკკოლი | 14 | თურქილმაზი |
| 9 | მაკოისტი | 10 | სფორცა |
| 14 | დიური | 11 | შაპუიზა |

შეცვლა: შაპუიზა — 6 ვიკი (46), კოლერი — 7 ფურნიე (46), მაკინლი — 20 ბუთი (61), მაკოისტი — 7 სპენსერი (80)

გაფრთხილება: ვეგა, მაკკოლი, კოლინზი, ფოგელი

1:0 მაკოისტი (36)

მსაჯი: ვ. კრონდლი (ჩეხეთი)

18 ივნისი. ბირმინგემი. „ვილა პარკი"

ყოველი მეორე სქოთი ბირმინგემის „ვილა პარკზე" რადიომიმღებით შეიარაღებული იჯდა, თვალით შოტლანდია — შვეიცარიას უცქერდა, ყურით კი ინგლის — ჰოლანდიას უსმენდა.

მატჩი და სქოთების შეტევები ქომაგთა ღრიალის თანხლებით ერთდროულად დაიწყო. გუშინ დილით „საქართველოს ხმამ" „მამაცი გულები" აჩვენა და რომ ვუკვირდებოდი, ვერავითარ განსხვავებას ვერ ვპოულობდი სქოთების შეტევაში ფეხბურთსა თუ ომში. შოტლანდიელთა კაცობაში ამ მატჩმაც დამარწმუნა. კაცობა ვახსენე და, მარტო ვაჟკაცურ ბრძოლას და თავდადებას არ ვგულისხმობ. იმ დღეს კრეიგ ბრაუნმა სასტარტო შემადგენლობაში გამოიყვანა ფეხბურთელები, რომელთა საშუალო ასაკი, არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად 30 წელი იყო! ოთხივე მაკი და დიური მართლაც უოლტერ სკოტის რომანის გმირებს ჰგავდნენ. დარწმუნებული ვარ, იმ დღეს რომ სქოთებს ფეხბურთი ეთამაშათ და არ ეომათ, ნაღდად დიდი ანგარიშით მოიგებდნენ, მაგრამ ამათ ინგლისელთა წყალობა შუა საუკუნეებიდანვე ჭირივით შეიძულეს და საომრად იმად გამოვიდნენ. ამის ნათელი დადასტურება იყო მატჩის დებიუტი, როცა ალი მაკოისტი ორჯერ იყო გოლის ზღურბლზე, მაგრამ მეკარის ბურთიანად შეტანა მოისურვა და არა გოლის გატანა, პასკოლო კი მაგრად დაუხვდა და ორივე მომენტი გააუვნებელა. მერე ბერლიმ მოინდომა ბადის გაგლეჯვა, მაგრამ ხარიხას გადააცილა. საათნახევრის მანძილზე წუთი არ ყოფილა, სქოთებს ხუთიოდ „პადკატი" არ გაეკეთებინოთ და, როცა მსაჯი სტვენდა, იღრინებოდნენ: კაცური თამაში გვაცალეო. მსაჯთან სხვა არაფერზე უკამათიათ. სქოთები არც ერთმანეთს ზოგავდნენ და ლამის ჰენდრი და ბერლი შეიწირეს კიდეც. გოლიც კაცურად გაიტანეს: მაკოისტმა მესამე ცდაზე მაკალისტერისგან საჯარიმოს მისადგომებთან პასი მიიღო თუ არა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ტერფის ზედა ნაწილში ჩადო. პასკოლო კი გადახტა, მაგრამ აუღებელი დარტყმა იყო. სიხარულისგან გაგიჟებული მაკოისტი ბრაუნისკენ გაექანა და ახლა იმას დააკარგვინა ჭკუა. მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, სამოცსმიღწეულმა სქოთთა დამრიგებელმა ადგილზე ცმუკვა დაიწყო და თამაშში კორექტივების შეტანის ნაცვლად ინგლის — ჰოლანდიის მატჩის ინფორმატორად იქცა, სულ ცერი ჰქონდა გაშვერილი, ბიჭებო, შეუტიეთ, ინგლისელები პანტიპუნტით ჰყრიანო.

> **„სარბიელის" რჩეული**
>
> **ყველაზე უპრიანად ის ჩავთვალეთ, სქოთთაგან არავინ გამოგვეყო და რჩეულად მთელი გუნდი დაგვეხახელებინა**

ბიჭები კი ისედაც უტევდნენ, მაგრამ ბრიტანულ სტილს ვერ გასცდნენ, მაკალისტერი ჯიუტად აწოდებდა საჯარიმოში, სადაც ხშირად ერთი შოტლანდიელი იმყოფებოდა შვეიცარელთა გარემოცვაში.

მეორე ტაიმში ნახევარიოდე საათით გამოვიდა 25 წლის აბერდინელი სქოთი სქოთ ბუთი, მაგრამ შეტევა არ იყო, კარში დასარტყმელი პასი არ მიეცა, ანაც თავად არ დამუქრებოდა ნეიტრალური ქვეყნის საფეხბურთო წარმომადგენლებს.

რაც შეეხება შვეიცარიელებს, მათ არ უომიათ, ფეხბურთს თამაშობდნენ და ალბათ ამიტომაც გადარჩნენ, ის კი არა, მატჩის მიწურულს თურქილმაზის თაური გოლით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ გორამი რის სქოთი იქნებოდა, ეს გოლი გაეშვა — წარმოუდგენელი ნახტომით იხსნა კარი.

მსაჯის სასტვენისთანავე დაღლილი სქოთები ერთმანეთს ეფერებოდნენ და მაყურებელთაც ოვაციებით დაჯილდოებულნი კარგა ხანს არ გადიოდნენ მინდვრიდან, შვეიცარიელები კი უცილობლად რაცხდნენ სქოთური ოფლით გაჟღენთილი მაისურის ხელში ჩაგდებას და შოტლანდიელებს სამაისურო ბარტერს სთავაზობდნენ.

მამუკა კვარაცხელია



დავით კაკაბაძე
მანჩესტერიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უვე ზეელერი: ფავორიტი რამდენიმეა

ეპოქა... ისტორია... ლეგენდა...

უვე ზეელერი!

მას მანჩესტერის მახლობლად, მოტრემ სენტ-ენდრიუში შევხვდით.

— **ბატონო ზეელერ, ახლა გერმანელთა გუნდს ყველა ერთხმად მიიჩნევს ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად. არადა, მათს თამაშში ხომ ხარვეზებიც შეინიშნებოდა. ხომ არ ხედავთ იმის საშიშროებას, რომ გერმანელებმა თავიანთი უძლეველობა ირწმუნონ და საკუთარი ძალები გადაჭარბებულად შეაფასონ?**

— ამგვარი რამ ახალბედა ფეხბურთელებს თუ შეიძლება დაემართოთ. რაც შეეხება ხარვეზებს, ისინი დროდადრო მართლაც იჩენს თავს, განსაკუთრებით, უბურთოდ თამაშისას, მაგრამ, იმედია, ფოგტსი ამასაც მოაგვარებს.



— **იტალიელებთან მომავალ მატჩზე რას ფიქრობთ? ზოგიერთის აზრით, ფოგტსი რამდენიმე ძირითად მოთამაშეს დაასვენებს...**

— ჯერ ერთი, ბერტიმ უკვე თქვა, რომ არ აპირებს გუნდში რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ თეორიულად მის გუნდს ჯერაც არ აქვს განაღდებული მეოთხედფინალის საგზური. საკვანძო პოზიციებზე ერთი ფეხბურთელის მეორით შეცვლამ გუნდი შეიძლება მთლიანად ამოაგდოს ჩვეული რიტმიდან და, ტურნირის ხანმოკლეობას თუ გავითვალისწინებთ, გამოუსწორებელ შეცდომად იქცეს. ის, რაც არიგო საკიმ ჩეხებთან მატჩში გააკეთა, ჩემთვის ყოვლად გაუგებარი და გამოცდილი მწვრთნელისთვის სრულიად მიუტევებელია. ერთბაშად ხუთი ახალი მოთამაშის გამოყვანით საკიმ არა მარტო დაუწერელი საფეხბურთო კანონი დაარღვია („არასოდეს შეცვალო გუნდის შემადგენლობა მოგებული მატჩის შემდეგ!"), არამედ იშვიათი ქედმაღლობაც გამოიჩინა — თითქოს სურდა დაემტკიცებინა, წარმატების მიღწევა ნებისმიერი შემადგენლობით შემიძლიაო.

— **ისევ გერმანიის ნაკრებს დავუბრუნდეთ. ეთანხმებით თუ არა მიმომხილველთა ერთი ნაწილის მტკიცებას, რომ გერმანელებს ველარავინ შეეცილება ევროპის ჩემპიონის ტიტულს?**

— თუ ჩემმა თანამემამულეებმა დარჩენილ შეხვედრებშიც ისეთი ფეხბურთი გვიჩვენეს, როგორც პირველ ორში, ვფიქრობ, მათ ფინალამდე უნდა მიაღწიონ. მაგრამ, ჩემი აზრით, მხოლოდ აქამდე ნანახის საფუძველზე ნაადრევია გერმანელთა მთავარ და ლამის ერთადერთ ფავორიტად გამოცხადება. ფავორიტი კვლავინდებურად რამდენიმეა.

— **კერძოდ ვინ?**

— საფრანგეთი, პორტუგალია... ასევე ნაადრევია ფავორიტთა წრიდან ტურნირის მასპინძელთა გამორიცხვა — სულაც არ გამიკვირდება, მათ ფინალს რომ მიაღწიონ. გარდა ამისა, არც ხორვატიის ან ჰოლანდიის სათვალავში მიუღებლობა იქნებოდა სწორი.

— **ესე იგი, იტალიელები უკვე ჩამოწერეთ?**

— არავითარ შემთხვევაში. იტალიელების ჩამოწერა დიდი შეცდომა იქნებოდა. და ამას გერმანიასთან მათი მატჩიც დაგვიდასტურებს. სხვა საქმეა, რომ იტალიის ნაკრებმა თვითონ ჩაიგდო თავი კრიტიკულ სიტუაციაში და ახლა თავის დასაღწევად ძალთა უკიდურესი მობილიზება დასჭირდება. მაგრამ გაიხსენეთ, რამდენჯერ გავმხდარვართ იმის მოწმე, რომ იტალიელებს ულიმღამოდ ჩაუტარებიათ ჯგუფური ტურნირი, ძლივს გასულან შემდეგ ეტაპზე, შემდეგ კი საუცხოო თამაშით ყველა გავუოცებივართ. სწორედ ამიტომ, მწამს, რომ გერმანიის ნაკრები, რაკი ამგვარი შანსი მიეცა, შეეცდება, ახლავე ჩამოიცილოს ეს სერიოზული მეტოქე და ოთხშაბათს მინდორზე მოსაგებად გავა.



# გიუნტერ ნეცერი: რა თქმა უნდა, გერმანია!

გერმანია — რუსეთის მატჩის შემდეგ „ოლდ ტრეფორდის" პრესცენტრში წარსულში ცნობილ ფეხბურთელს, მიონხენგლადბახის „ბარუსის", მადრიდის „რეალისა" და გერმანიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველს, გიუნტერ ნეცერს შევხვდით. ჩვენი პირველი შეკითხვა რამდენიმე წუთით წინ დამთავრებულ მატჩს შეეხებოდა.

— თუ შეხვედრას გერმანელთა პოზიციიდან შევაფასებთ, ჩვენი ნაკრების ბედი საკმაო ხანს, ბეწვზე ეკიდა. რუსებს შესანიშნავი გუნდი ჰყავთ, რომელიც ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. სამწუხაროდ, მის წევრებს ხშირად ავიწყდებათ, რომ ფეხბურთში ზოგჯერ გოლის გატანაც აუცილებელია. სწორედ ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ ისინი ტურნირს გამოეთიშნენ. მომავალში რუსეთის ნაკრებს სერიოზული მუშაობა მოუწევს. საგოლე მომენტები უკეთ რომ გამოიყენოს. სხვაგვარად საერთაშორისო სარბიელზე იგი ვერასდროს მიაღწევს დიდ წარმატებას.

— **ფინალურ ტურნირზე თქვენი საერთო შთაბეჭდილება როგორია?**

— ჩემპიონატის საერთო დონე მეტად მაღალია. კაცმა რომ თქვას, ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ფინალურ ტურნირში კონტინენტის უძლიერესი გუნდები მონაწილეობენ. მათი სათამაშო კულტურა კი იმდენად მაღალია, რომ არ შეიძლება, თავი არ იჩინოს — თვით ისეთ მატჩებშიც კი, რომლებიც სანახაობრივი თვალსაზრისით რაიმე განსაკუთრებულს იქნებ არც წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, რომ საინტერესო და მაღალი კლასის შეხვედრათა ოდენობა უფრო იმატებს მესამე ტურში, და, განსაკუთრებით, მის შემდეგ, როცა ნებისმიერი დამარცხება გუნდისთვის შინ გამგზავრების ტოლფასი გახდება.

— **გერმანელების გარდა, კიდევ რომელი გუნდები მოგეწონათ?**

— ძალიან მომეწონა პორტუგალია. თუმცა, ეს ჩემთვის სიახლე არ ყოფილა: პორტუგალიის ნაკრებსაც და ამ ქვეყნის საკლუბო გუნდებსაც არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ იქ განუმეორებლად ლამაზი ფეხბურთის თამაში იციან. სამაგიეროდ, ჩემთვის მოულოდნელი იყო ის შესანიშნავი თამაში, რომელიც რუსებმა იტალიის ნაკრებთან შეხვედრის პირველ ტაიმში გვიჩვენეს. ტურნირის ფავორიტებზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ საფრანგეთის ნაკრებიც. კანტონასა და ჟინოლას არყოფნის მიუხედავად, ფრანგებს, ჩემი აზრით, ნებისმიერი გუნდის დამარცხება ძალუძთ. ორჯერ დავესწარი ჰოლანდიელთა მატჩს და დავრწმუნდი, რომ მათი გუნდიც ანგარიშგასაწევი ძალაა. თუმცა, ჩემპიონატის მთვარი ფავორიტად გერმანიის ნაკრები მიმაჩნია.

> **მრავალს დაესწარ!**
>
> 
>
> **ხოსე ემილიო ამავისკა**
>
> ესპანეთი
>
> 25
>
> 25 წლის შეიქნა დღეს „რეალისა" და ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი ხოსე ემილიო ამავისკა. მეოთხედი საუკუნის მანძილზე მას უკვე ესპანეთის ჩემპიონობაც მოუსწრია და ჩემპიონთა ლიგაში თამაშიც. ახლაა და აგერ ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა მარაქაშიც გაერია.

ზურაბ ფოცხვერია

მანჩესტერიდან



# ბერტის ბიჭები ფინალში გავლენ

17 ივნისი ევროპის ჩემპიონატის კალენდარში, ასე ვთქვათ, უქმე იყო, მაგრამ ფინალურ ტურნირზე აკრედიტებულ ჟურნალისტებს რა დაასვენებდათ. ჯგუფური ტურნირის გადამწყვეტი, მესამე ტურის წინ ყველა ცდილობს, გააანალიზოს აქამდე ჩატარებული შეხვედრები, ესაუბროს შეჯიბრების მონაწილეებს, დაეკითხოს წარსულში ცნობილ ფეხბურთელებს, რომლებიც პრეს-ცენტრის ხშირი და სასურველი სტუმრები არიან.

თამაშებისგან თავისუფალ დღეს მანჩესტერის სიახლოვეს, პატარა, კოხტა მეკლსფილდში გავემგზავრეთ, რათა გერმანიის ნაკრების ვარჯიშს დავსწრებოდით. თავად ვარჯიშმა ორმოციოდე წუთს გასტანა და მაინცდამაინც საინტერესო არაფერი იყო, რაც, რუსეთის ნაკრების წინა დღეს გამართული შეხვედრის მერე ბუნებრივიც გახლდათ.

მეკლსფილდიდან მეზობელ სოფელში, მოტრემ სენტ-ენდრიუში გადავინაცვლეთ. იქ „ადიდასმა" და „მერსედეს-ბენცმა" საგანგებოდ გაშლილ უზარმაზარ კარავში სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები ფრანც ბეკენბაუერის პრეს-კონფერენციაზე მიგვიწვიეს.

ცხადია, ყველას გვაინტერესებდა კაიზერ ფრანცის აზრი ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე. ფავორიტებად მან სამი გუნდი დაასახელა: გერმანია, საფრანგეთი და ხორვატია. თუმცა დასძინა, მონაწილე გუნდების საერთო დონე საკმაოდ თანაბარიაო.



„ხორვატებზე ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ვიცოდი, რომ კარგი გუნდი ჰყავთ — თქვა ბეკენბაუერმა — მხოლოდ ის არ ვიცოდი, რამდენად გაუძლებდნენ ისინი იმ უმძიმეს ფსიქოლოგიურ ტვირთს, ასეთი რანგის შეჯიბრებაში მონაწილეობა რომ ჰქვია. ეს ხომ, ფაქტობრივად, მათი დებიუტია. დანიასთან მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს გამოცდა ხორვატებმა წარმატებით ჩააბარეს. რაც შეეხებათ ფრანგებს, მათ მართლაც საუცხოო გუნდი ჰყავთ, მაგრამ პირადად მე მათი თამაშის სისტემა არ მხიბლავს. ემე ჟაკე ერთი თავდამსხმელით თამაშს ამჯობინებს, მე კი ამგვარი რამ მიუღებლად მიმაჩნია. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჟაკეს გუნდი უკვე 26 მატჩია, არ დამარცხებულა ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარმატების მიღწევა ამ სისტემითაც შეიძლება, თუ მას მაღალი კლასის შემსრულებლები ჰყავს.

გერმანელი კოლეგის შეკითხვაზე, ვინ მიაჩნია ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად, ბეკენბაუერმა განაცხადა: ვფიქრობ, ბერტის ბიჭები ფინალს მიაღწევენ, იქ კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

## რეიტერის თვალით

EURO 96 England

| გერმანია | | რუსეთი | |
|---|---|---|---|
| კეპკე | 7 | ხარინი | 7 |
| ზამერი | 8 | ნიკიფოროვი | 6 |
| ჰელმერი | 7 | ონოპკო | 6 |
| ბაბელი | 6 | კოვტუნი | 7 |
| როიტერი | 8 | კანჩელსკისი | 6 |
| ციგე | 7 | თეთრაძე | 7 |
| ჰესლერი | 8 | მოსტოვოი | 8 |
| აილტსი | 6 | რადიმოვი | 5 |
| მიოლერი | 6 | ციმბალარი | 7 |
| ბირჰოფი | 6 | ხოხლოვი | 5 |
| კლინსმანი | 9 | კოლივანოვი | 5 |

| ხორვატია | | დანია | |
|---|---|---|---|
| ლადიჩი | 7 | შმეიხელი | 5 |
| იარნი | 7 | ჰელვეგი | 5 |
| სტიმაჩი | 7 | რიპერი | 6 |
| ბილიჩი | 8 | ჰოგი | 6 |
| იერკანი | 7 | შენბერგი | 7 |
| ასანოვიჩი | 7 | ვილფორტი | 6 |
| პროსინეჩკი | 6 | სტენ-ნილსენი | 6 |
| ბობანი | 8 | ტომსენი | 6 |
| სტანიჩი | 7 | მ. ლაუდრუპი | 7 |
| შუკერი | 8 | ლარსენი | 6 |
| ვლაოვიჩი | 6 | ბ. ლაუდრუპი | 7 |

სარბიელი

ტოტალიზატორი "CROCO"

ევროპის ჩემპიონატი

19 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| რუსეთი - ჩეხეთი | 2,5 | 3,0 | 1,9 |
| იტალია - გერმანია | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ხორვატია - პორტუგალია | 2,8 | 2,0 | 2,6 |
| თურქეთი - დანია | 4,7 | 3,0 | 1,4 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ევროპის ჩემპიონატის მოგების ფსონები

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისი | 2,0 | რუსეთი | 15,0 |
| იტალია | 2,5 | დანია | 25,0 |
| გერმანია | 2,5 | პორტუგალია | 8,0 |
| ჰოლანდია | 5,0 | შოტლანდია | 25,0 |
| ესპანეთი | 6,0 | ბულგარეთი | 15,0 |
| საფრანგეთი | 5,0 | ჩეხეთი | 50,0 |
| ხორვატია | 8,0 | შვეიცარია | 75,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში 13-დან 16 საათამდე
საღამოს საათებში „კროკო" იმუშავებს კინოთეატრის მცირე დარბაზში

კომპიუტერები
პრინტერები
მულტიმედია
პროგრამები
როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით ისე გადარიცხვით
გარანტია 1 წელი
შპს კომპუსი
გარანტიის შემდგომი მომსახურება;
☎ 93-91-03
37-12-96
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16 (სასტუმრო „აფხაზეთის" პირდაპირ)
11 სართული, ოთახები 1104, 1105

კულტურის ცენტრი „ყაზბეგი"
გიწვევთ
ევროპის ჩემპიონატის მატჩების
დიდ ეკრანზე სანახავად!
მისამართი:
აბაშიძის № 26
(ყოფილი ბარნოვის № 128)
ტელ.: 294904

იყიდება
თეთრი, გამჭირვალე
ორგანული მინა
75 X 75
ტელ.: 95 22 56 (საღამოს)

# მერე „რეჯანას" რა ვუთხრა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრავმებითა და უიღბლობით შებეზრებულ გიორგი ნემსაძეს, როგორც იქნა, დაიმაიმედებელი პერსპექტივა გამოუჩნდა: გერმანიის რეგიონალურ ლიგაში მოთამაშე ქართველით — „აუსტრია", „რეჯანა", და დისკალიფიკაციის შემდეგ საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში დაბრუნებული და ძველი დიდების დაბრუნების მსურველი მარსელის „ოლიმპიკი" დაინტერესდნენ. გერმანიიდან გუშინწინ, გვიან ღამით ჩამოფრენილ გიორგის გუშინ, დილაუთენიავე, ახალგამოღვიძებულს დავადექი თავზე შინ. თუმცა, ღმერთი, რჯული, შემაწუხებელთაგან პირველი მე არ ვიყავი — ნემსაძეების ოჯახში უკვე ატეხილიყო გიას თბილისში ჩამოსვლისათვის ჩვეული ტელეფონის რეკვა — მეგობრები, ჟურნალისტები...

საუბარი გერმანიაში გატარებული ერთი წლის ერთგვარი შეფასებით დავიწყეთ.

— მართალია, რეგიონალურ ლიგაში თამაში თავისთავად არ არის პრესტიჟული, მაგრამ, რომ ვუკვირდები, ჩემთვის ასე სჯობდა. საქართველოში დარჩენასა და თამაშს უეჭველად მერჩივნა. რაც მთავარია, ტრავმები მოვირჩინე და ავადმყოფობის შემდეგ ფორმაც აღვიდგინე. თანაც, ვითამაშე გერმანიაში, სადაც რეგიონალლიგის მატჩებსაც კი უამრავი სპეციალისტი ესწრება. მოკლედ, ეს ერთი წელი ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო — კრიზისიდანაც გამოვედი და თამაშიც დავხვეწე. იქ ისეთი შეხვედრებია, სულ ბრძოლა გვიწევს, წამითაც ვერ გამოეთიშება მატჩის დაძაბულ რიტმს. ეს კი, ვინ იტყვის, არაო, ფეხბურთელს ძალიან ზრდის. გერმანულ პუნქტუალობასაც მივეჩვიე. თავიდან ვარჯიშებზე რამდენჯერმე დავიგვიანე, მაგრამ, ცხოვრების გერმანულ ყაიდას ისე ვერ შეეთვისები, თუ მათი წესები და ჩვევები არ გაითავისე. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს გერმანიაში ქართველი პირველი ჩამოდის — ზოგი საცხოვრებლად, ზოგი სასწავლებლად, ზოგიც საქმიანობისათვის. ჰომბურგელ ლეგიონერებს მათთან ხშირად გვქონდა ურთიერთობა. ჰომბურგში დიდი კლინიკაა, სადაც ქართველებიც მუშაობენ. აჭინი ჩვენს თამაშებს არ აცდენენ და რეზოს, ნიკას და მე გულიანად გვამხნევებდნენ.

**— შენი კარიერის რეგიონალლიგური ეტაპი, როგორც ჩანს, სრულდება. როგორ დაინტერესდნენ შენით შენით ავსტრიის, საფრანგეთისა და იტალიის გუნდები?**

— როგორც ახლაა წესი, მეც საკუთარი მენეჯერი მყავს, რომელმაც ჩემით ისეთ გუნდები დააინტერესა, გამიხარდა კიდეც. პირველმა „რეჯანამ" გამოაგზავნა თავისი აგენტი, რომელიც „ჰომბურგის" ოთხ შეხვედრას ჩემს საქმეში სანახავად დაესწრო. მან „რეჯანას" მთავარ მწვრთნელთან ისე დამახასიათა, რომ მერე თავად მწვრთნელმა ჩამომაკითხა ჰომბურგში. ვილაპარაკეთ და მითხრა — იტალიაში სამოყვარულო გუნდიდან ფეხბურთელის აყვანას გუნდები ერიდებიან და ხალხიც ვერ გაგვიგებს, მაგრამ შენმა მენეჯერმა ძალიან დამაინტერესაო. თამაშის შემდეგ კი მენეჯერისთვის უთქვამს, იტალიაში თავისუფლად ითამაშებსო, ამ წელიწადსაც ყურადღებას მივაქცევ და მერე საბოლოოდ დაველაპარაკებიო.

ამის შემდეგ „აუსტრია" და „ოლიმპიკი" დაინტერესდნენ. ფრანგები პირველ დივიზიონში დარბრუნდნენ და გუნდის გაძლიერება სურთ. მათ მეორე მწვთრნელი და მენეჯერი გამოაგზავნეს და ისინი ახლაც განაგრძობენ მოლაპარაკებას ჩემს დანიელ მენეჯერთან, ისევე როგორც „აუსტრიას" წარმომადგენლები. უახლოეს დღეებში ყველაფერი გაირკვევა.

**— რამდენწლიან კონტრაქტს გთავაზობენ?**

— ორივე კლუბმა ორწლიანი შემომთავაზა, მაგრამ მე მხოლოდ ერთწლიანზე ვარ ყაბულს — ამის შემდეგ ხომ რეჯენელებთან მომიწევს დალაპარაკება და საქმე რატომ გავირთულო? თანაც, ვითარება გამუდმებით იცვლება და იქნებ უკეთესი გუნდიც გამოჩნდეს.

მაგრამ ჩემი პირობით უფრო ავსტრიელები დაინტერესდნენ, ფრანგები კი მინიმუმ ორწლიან კონტრაქტს ითხოვენ. თანაბარ პირობებში, ბუნებრივია, საფრანგეთს ვამჯობინებ. თუმცა კი აქ მრავალი წვრილმანია გასათვალისწინებელი.

**— ეს ყველაფერი კარგი და ახლა ეს მითხარი, „დინამოსთან" კვლავაც ხარ იურიდიულად დაკავშირებული?**

— არა, „დინამოსთან" წელიწად-ნახევარის წინ დამიმთავრდა კონტრაქტის ვადა. ვფიქრობ, მათ წინაშე აბსოლუტურად ვალმოხდილი ვარ. თანაც, ამჟამად გუნდში ჩემს ადგილზე ძლიერი ფეხბურთელები თამაშობენ-ინალიშვილი, ცქიტიშვილი, კიკნაძე. ჩემი ჩამოსვლა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მორალურადაც არ იქნება გამართლებული, ახალგაზრდებსაც ზრდაში შევუშლი ხელს, ეს კი არაფრის დიდებით არ მსურს. რა თქმა უნდა, ამის გარდა, ისაც ხომ საქმეა, რომ საფრანგეთში, იტალიასა და თუნდაც ავსტრიაში თამაშის პერსპექტივა გამოჩნდა, ამაზე უარის თქმა კი, დამეთანხმები, ძნელია, თუ ზრდა და დაოსტატება გინდა.

**— ამგვარად ცსკა-ზე საუბარი დამთავრდა...**

— მართალია, მათთან დღემდე მაქვს კავშირი, მაგრამ ამ გუნდების შემდეგ რუსეთის ვარიანტი, ფაქტიურად, გამოირიცხა.

**— რეზო არველაძე რომ „მეხელენში" გადავიდა, ეს ვიცით, ნიკა ჩხეიძე რას აპირებს?**

— ნიკუშას ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს „ჰომბურგთან", ასე რომ, კიდევ ერთი წლით დარჩება გუნდში. არადა, რომ იცოდეთ, როგორ თამაშობს! საერთოდ, მეკარეებს გუნდები ნაკლებად ყიდულობენ, წინა ხაზების მოთამაშეებს უფრო ეტანებიან. ნიკუშა ისე თამაშობდა, უმაგისოდ 10 ქულას მაინც დავკარგავდით. რეზო არველაძემ კი კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა. იმასაც კი ვფიქრობ, „მეხელენთან" ნაადრევად გააფორმა კონტაქტი-მეთქი, რადგან გაცილებით ძლიერი გუნდები თუნდაც ბუნდესლიგისა, სთავაზობდნენ გადასვლას.

**— გერმანიაში თამაში დავხვეწეო, თქვი. ეს კი სხვა ქართველ ფეხბურთელებსაც სჭირდებათ, რათა ნაკრებში უმაღლეს დონეზე ითამაშონ. შენი აზრით, უპირველესად რა სჭირდებათ ჩვენი ნაკრების წევრებს?**

— მთავარი გრანდების კომპლექსის მოხსნაა — ჩვენ არ უნდა ვფიქრობდეთ მეტოქის უძლეველობაზე, არ უნდა შევიბოჭოთ ამით და თავს უკეთაც წარმოვაჩენთ. ამის წამალი კი ერთად ხშირი თამაშია. ეს კომპლექსი თანდათან გვეხსნება რაც, ვფიქრობ, ჩვენი მომავალი წარმატებების საწინდარი იქნება.

**— შენმა სიტყვებმა კოსტადინოვისა და მისი თანაგუნდელების თვალები გამახსენდა, როდესაც თამაშის ბოლო წამზე ფრანგებს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური წაართვეს. — მათ თვალებში სიხარულზე არანაკლებად სიამაყეც ჩანდა. მას შემდეგ დაკომპლექსებული ბულგარელები არავის უნახავს...**

— იმ წამმა შექმნა სწორედ ბულგარელთა ძლიერი ნაკრები. სწორედ მაშინ ირწმუნეს, რომ არავიზე ნაკლებნი არ არიან. მათ ფრანგებთან დიდი ბარიერი გადალახეს. მე კი მსგავსი ბარიერი ბულგარელებთან თბილისის შეხვედრაში გადავლახე.

**— უელსთან 5:0-იც არ იყო პატარა საქმე...**

— ის დღე არ იგამახსენო! იქიდან იდაიწყო ჩემი წვალება.

**— ევროპის ჩემპიონატზე მოთამაშე ჩვენმა მომავალმა მეტოქეებმა იტალიამ და ინგლისმა როგორი შთაბეჭდილება დატოვეს შენზე?**

— გამიხარდა, რომ არც ერთი და არც მეორე იმ სიძლიერისა არ ყოფილა, რომელსაც რატომღაც ველოდი. შენ იტალია უმახე და, კი წააგეს ჩეხებთან. ამის შემხედვარეს დიდი იმედი გამიჩნდა. მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ვინ იცის, ჩვენებთან თამაშის დღეს იტალია ან ინგლისი როგორ ფორმაში იქნებიან. მაგრამ მთავარი მაინც ჩვენი მომზადება და მიზნისკენ სწრაფვა იქნება — საქართველომ საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე აუცილებლად უნდა ითამაშოს და ნაკრების თითოეულმა წევრმა მიზნად ეს უნდა დაისახოს. თუ მოგებაზე არ იფიქრებ, ყოველთვის წაგებული დარჩები. ეს, მტკიცება რომ არ სჭირდება, ისეთი აქსიომაა.

**— ბევრისგან მსმენია, ქართველი ფეხბურთელი ძლიერ ევროპულ კლუბში ითამაშებსო და იმასაც ამბობენ, რაც „სარბიელში" ქინქლაძეზე ინერება, გაზვიადებულიაო.**

— არ მესმის, რა არის გასაკვირი და დაუჯერებელი. [illegible] ერთ-ერთ [illegible] საფეხბურთო ჟურნალ „კიკერში" გამოქვეყნებული ევროპის სიმბოლური ნაკრები, რომელშიც ქინქლაძეც ჰყავდათ შეყვანილი. ეს მონაგონი კი არა, ჩვენთვის გასახარი ფაქტია. გიომ ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს პრემიერლიგაში ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა.

**— ამ შეკითხვაში, მიმიხვდებით, მარტო ქინქლაძეს კი არა, საერთოდ ქართველ მოთამაშეებს ვგულისხმობდი.**

— თუ ასე, მაშინ ამას ვიტყვი — ქართველების მოწინავე კლუბებში მიწვევას სხვა ფაქტორებთან ერთად ისიც აბრკოლებს, რომ ჩვენები ფიქრობენ, აბა, მე როგორ შევძლებ გრანდებთან თამაშსო. აი, ეს არის მთავარი უბედურება, როცა საკუთარ პოტენციალს ასეთი აზროვნებით აკნინებ და ვერ ავლენ. ბულგარეთის მიყრუებულ სოფელში დაბადებული სტოიჩკოვი გავიხსენოთ. რომელი გრანდი ბულგარეთის ნაკრები იყო, მაგრამ ფსიქიკა მოგებისაკენ მიმართეს და ნიჭიც გამოავლინეს.

**— ევროპის ჩემპიონატზე ვსაუბრობდით და ბარემ ვთქვათ: პირველი ორი ტურის შემდეგ თუ გაგიმართლდა იმედები?**

— ჯერ მხოლოდ ნაწილობრივ, თამაშთაგან ზოგიერთი თუ მომეწონა. ევროპის ჩემპიონატის საკადრისი დონე ჯერ ვერ არის, მეტს ველოდი. მომეწონა საფრანგეთისა და ხორვატიის გუნდები. იტალიაზე უკვე ვთქვი — უფრო ძლიერი გუნდი მეგონა. ინგლისელების ფეხბურთი კი მაინც და მაინც არასდროს მომწონებია. მაგრამ ჯერ მხოლოდ ორი ტური ჩატარდა და ძნელია წინასწარ სერიოზული დასკვნის გამოტანა.

**— ფეხბურთელთაგან ვის გამოარჩევ?**

— ჯერჯერობით სტოიჩკოვს.

**— მოდი, ისევ შენს მენეჯერს დავუბრუნდეთ. კიდევ, რომელიმე ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერშიც ხომ არ იღებს მონაწილეობას?**

— ვერ გეტყვი, საიდან და როგორ, ფაქტი კია — ერთხელაც ფაქტიურად, ერთი წლის მოცდენილ გოჩა გუჯაბიძეზე ჩამომიგდო საუბარი, გერმანიასთან ლიბეკროდ რომ ითამაშა, ის მცველი სად არისო? ძლიერ გააკვირვა ჩემმა პასუხმა, უგუნდოდ დარჩამეთქი. ჩემი საშუალებით დაუკავშირდნენ გოჩას და, ვფიქრობ, მას მალე რაიმე ეშველაბა.

მოკლედ, ჩემი მენეჯერი დიდი გაქანებისა და ძლიერ საფეხბურთო ქვეყნებთან სერიოზულად დაკავშირებული კაცია და შეუძლია ფეხბურთელისათვის გუნდის მოძებნა.

**— შენს მენეჯერს რომელიმე ცნობილ ფეხბურთელთან თუ ჰქონია საქმე?**

— ამ საკითხზე არ გვისაუბრია. დროც არ გვქონდა, მაგრამ 18 ივნისს იგი ინგლისს უნდა ჩასულიყო და მითხრა, ლეჩკოვის ერთ ინგლისურ გუნდში გადასვლა უნდა მოვაგვაროო. ბულგარელს ნახევარი წელია „ჰამბურგში" არ უთამაშია მთავარ მწვრთნელთან ფელიქს მაგათთან კონფლიქტის გამო და გუნდიდან წასვლა სურს. სხვა ფეხბურთელებსაც თუ ეხმარება, ეს არ ვიცი. ვიცი ის, რომ კიდევ რამდენიმე ქართველით დაინტერესდა, მაგრამ ჩემთან გუჯაბიძის გარდა არავისზე უსაუბრია.



მერაბ მამულაშვილი

გუშინდელ ნომერში, სტატიაში „გაგონილა?" ორი შეცდომა გაიპარა. თბილისის „უნივერსიტეტის" პრეზიდენტი მირიან ცხვარაძე ცხადაძედაა მოხსენიებული, უნივერსიტეტის პროფესორი თეიმურაზ ხუროძე კი ხურციძედ.

თამაშის ახალი წესების შემოღება მოუხდათ თუ სხვა რამ ამბავია, მაგრამ დაიწყო მეორე წრე და ლიდერთა თამაშებიც საამოდ საცქერი შეიქნა. ქართველ მორაგბეებს უარ-უყვიათ ფრთხილი, მეტოქის შეცდომის მომლოდინე ტაქტიკა და ფიცხელ ერკინებიან ერთი-მეორეს. ამ მხრივ არც „გუმარი" — „ქორების" გუშინწინდელი მატჩი ყოფილა გამონაკლისი.


ბადრი კეთილაძის ფოტო

# ბარაქიანი რაგბი

## წვიმისა და ჭექა-ქუხილის თანხლებით

**პაპანაქება** სიცხეების შემდეგ ორშაბათ საღამოს ვაკეში მოიღრუბლა, ჩამობნელდა, რვის 15 წუთზე კი, მსაჯმა პირველად რომ ჩაბერა სასტვენს, გაიელვა. პოდა, წინდახედული საზოგადოებაც უმალ მთავარი ტრიბუნის აივნებს ქვეშ შეიყუჟა და იქ გააბა ყაყან-მასლაათი. ამას ის მოყვა, რომ ერთ-ერთ განყოფილებაში მაყვანნი, ეტყობა, უშნოდ შელაპარაკდნენ, რაც მატჩის დროს ჩხუბით, თამაშის შემდეგ კი მანქანებში ჩასასხდომად გამოფენილი ხალხის თვალწინ დამბაჩის პაერში სროლითა და გულის ხეთქვით დასრულდა.

თამაში „ქორებმა" დაიწყეს, მაგრამ „გუმარმა" მყის მეტოქის ნახევარზე გადაიტანა მოქმედება, ცაბაძემ ჯიქურ შეუტია, მსაჯმა მოეირიშე გუნდს შეტევა ადროვა, მერე კი საჯარიმო დანიშნა. მაჩიტიძემ გახსნა ანგარიში, ორი წუთის შემდეგ კი დერეფნიდან გაშლილ მარაოს ჩაემატა, ბურთი ფეხით წინ გაიგდო და ლელოში მასთან ყველას მიასწრო. მოდებაძემ მოედნის კიდიდან გარდასახა მეგობრის ლელო 10:0.

საშინლად დაიქუხა და წვიმამ დაუშვა. „ქორმა" მორკინალებმა ორჯერ დაკრეს, მაგრამ ჭიდილში ბურთი დაკარგეს. ამგვარი შეცდომა ამ დღეს ნიშანდობლივი იყო რკინიგზის გუნდისათვის. თემურ ბენდიაშვილის ალსაზრდელებს ბურთიც ხშირად უვარდებოდათ ხელიდან და შეტევის შეფერხების შემდეგ ვერც მას ინარჩუნებდნენ ხეირიანად. გურამ მოდებაძის „გუმარელებმა" „ქორებს" სწორედ ამ კომპონენტით აჯობეს, თუმცკი თავადაც საკმაოდ შესცოდეს, რაც გარდაუვალი იყო ავდარში.

საქართველოს ნაკრების კაპიტნის — ობოლაძის გარღვევას საჯარიმო მოყვა 13:0. ამ დროისთვის წვიმამ გადაიღო, მაგრამ წეველიძემ მე-20 წუთზე რომ შეაგდო პირველი გოლი, ისევ წამოუშინა 3:13.

მერე „ქორებმა" იძალეს. თამაში ზედ შესვენებამდე „გუმარის" ნახევარზე მიმდინარეობდა. ისევ დაიქუხა და წვიმა განახლდა. „ქორებს" ორი დარტყმა გაუცუდდათ — ერთხელ ბურთმა ძელი შეაზანზარა. მერე „გუმარის" „პაიების" ჯერიც მოვიდა. ტაიმის ბოლო წუთზე „ქორებმა" კონტრშეტევა წამოიწყეს, მაგრამ შავლეგ ჯანელიძემ გადაცემა ჩაუჭრათ და თითქმის ლელომდეც მიატანა. ამ დროს წვრილად ცრიდა.

**მეორე ნახევრის** დასაწყისშივე „გუმარის" შერკინებამ უკან დაახევინა მეტოქისას და მესამე ხაზი წამოუყენა, მაგრამ საჯარიმო ციმ-ციმ გაათამაშა და თავად დაჯარიმდა. მერე ბურთი ნაჯუნგლარში ჩაიკარგა და მატჩიც ორი წუთით შეფერხდა. თამაში ახალი ბურთით გაგრძელდა.

„ქორებმაც" გამოიჭირეს მეტოქე რვაკაციანი შერკინების წესის დარღვევაზე. დამრტყმელობა შესვენებაზე წეველიძისგან ძნელაძეს გადაებარებინა და პირველივე დარტყმაც დიდებული — ძალიან მაღალი და ზუსტი გამოუვიდა 6:13.

მალე მეხიც გავარდა. ობოლაძისა და სხვა მორკინალთა მიძალება საჯარიმოთი და მატჩის მეორე „შტანგით" დასრულდა, მაგრამ დერეფანში დამსახურებული საჯარიმოს დარტყმა ისევ მაჩიტიძემ იკისრა და თუმც ორჯერ. გაიელვა, უძლიერესი დარტყით ეფექტური გოლი შეაგდო 16:6.

თამაშის დამთავრებას 20 წუთი უკლდა, „ქორები" კი, მათდა სასახელოდ, მაინც არ გატყდნენ. ძნელაძემ მოხდენილი გარღვევა მოაწყო, ასათიანს კი ლელომდე ცოტა დააკლდა. დაინიშნა დერეფანი. იქ „გუმარი" დაჯარიმდა, „ქორებმა" კი ბურთი გაათამაშეს და დაკარგეს, მერე კი მოლში უმსგავსო ჩხუბი ატყდა — კარატეს ილეთებიც კი გამოიყენა მავანმა.

„ქორთა" 10 ნომრად გამოჩნდა ვეტერანი დათო ჩავლეიშვილი, მერე ალანიამ გაინავარდა, მაგრამ წვიმამ ისევ დასცხო. საჯარიმო ძნელაძესაც გაუცუდდა.

73-ე წუთზე ჯანელიძემ მოკლე ფრთაზე შეუტია, მაგრამ სორდიას ლელომდე 5 მეტრი არ ეყო. „გუმარმა" დარტყმის ნაცვლად გაათამაშა საჯარიმო და შეტევის მესამე ფაზაში გრძელ ფრთაზე უპირატესობაც მიიღო, რაც ბუგიანიშვილის ლელოთი დასრულდა, მაჩიტიძემ კი ნაპირიდან გადასარევად დააბზრიალა ბურთი და მონაგარი 13* ქულამდე აიყვანა.

**ზაზა ფხაძაკე**



თუ ვინმემ გაიბრწყინა იმ ბნელსა და წვიმიან საღამოს, „გუმარის" მცველი კახა მაჩიტიძე იყო: „ჩიჩმიამ" ლელოთი და სამი გოლით „ქორებს" 13 ქულა გაუტანა.

მე-40 წუთი: ჯანელიძის გარღვევა ბუგიანიშვილმა ლელოთი ამჯერად ვერ დააგვირგვინა, თანმსაჯი ჭეიშვილი კი მაინც ფხიზლობს

ბადრი კეთილაძის ფოტო



### საქართველოს XXIX პირველობა

### „ა" ჯგუფი

16. VI. მესამე მასივი

**ლელო 13-38 ყოჩები**

(10) ლ, გ, 2ს — 5ლ, 2გ, 3ს (11)

მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი

17. VI. რუსთავი

**აზოტი - აია**

თამაში არ გამართულა. ერთადერთი ცნობილი ვერსიით გუნდებს პგონებიათ, რადგან საქართველოს ნაკრები სტუდენტთა მსოფლიო თასისთვის უნდა მოემზადოს, ჩემპიონატის ორი ტური გადაიდებაო. შესაძლოა, რომელიმე გუნდმა ეს ცნობა კიდევ უარყოს, მაგრამ ის კი უტყუარი ფაქტია, რომ ჩემპიონატის კალენდარი ჯერ კიდევ თებერვალში მსოფლიო თასის გათვალისწინებით შედგა, რაგბის კავშირის ოფისს კი წერილობით არავისთვის უცნობებია, ტურები გადაგვაქვსო.

აიას რუსეთიდან ისევ დაბრუნებია დუგლას კავთელაშვილი. გუშინ იგი შეეხმიანა რაგბის კავშირს და აცნობა, რომ ზემოთხსენებული მიზეზით აია არც ამ შაბათს, ჩემპიონატის ლიდერ ყოჩებთან სათამაშოდ ეწვევა თბილისს. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ქუთათურებს მეორე წრეში უკვე სამი შატალო დაუგროვდებათ.

სავარაუდოდ შაბათსვე გაიმართება აიას ცნობილი საჩივრის განხილვა, რაგბის კავშირში არაჯანსალი ვითარებაო. მოსალოდნელია, რომ არბიტრი პარლამენტის სპორტის კომისიის თავკაცი მანუჩარ მაჩაიძე იქნება. რაგბის კავშირის ოფისის ცნობით, კავთელაშვილი სხვა საკითხებთან ერთად ყოჩებთან წაგებულ მატჩში მსაჯ ნარიმანაშვილის მიერ ქუთათურთა საჯარიმო ლელოთი დასჯის მიზანშეწონილების ექსპერტიზასაც ითხოვს!

17. VI. ვაკე

**დინამო 21-26 გელათი**

იმსაჯა ნარიმანაშვილმა. მატჩის მიწურულს გელათელმა ქიმუცაძემ არეკნით გაათანაბრა ანგარიში, მერე კი კუპრაშვილმა ლელოც გაიტანა. დინამოელებმა ეჭვი აილეს, რომ სტუმრებმა შეცვლილი მოთამაშე ხელახლა ჩააბეს თამაშში და ამის გამო მსაჯსა და კომისარს შესჩივლეს, მაგრამ ეს მთლად ზრდილობიანად ვერ გამოუვიდათ.

**გუმარი (13) 23- 6 (3) ქორები**

მსაჯი გია კურატიშვილი. თანამსაჯები: პაატა ნარიმანაშვილი და მალხაზ ჭეიშვილი

გუმარი: მაჩიტიძე; სორდია, ჯიმშელაძე, ჩიქვინიძე, ბუგიანიშვილი; მოდებაძე, ჯანელიძე; მთიულიშვილი, ხუციშვილი, ცაბაძე; პარწიკანაშვილი, მჭედლიშვილი; ობოლაძე, თედორაძე, დიდებულიძე. — 2ლ: მაჩიტიძე (8), ბუგიანიშვილი (75); 2გ: მოდებაძე (9), მაჩიტიძე (76); 3ს: მაჩიტიძე (6, 58), მოდებაძე (14)

ქორები: ასათიანი; ჩაჩუა (ჩავლეიშვილი, 64), ალანია, ჩხენკელი, ძნელაძე; წეველიძე, კვინიხიძე; კაცაძე, ირემაძე, მაჭუტაძე; კახიანი, ხუადე; დგებუაძე (კვანტალიანი, 37), გიუნაშვილი (კობახიძე, 75), ჯაფარაშვილი. — 2ს: წეველიძე (20), ძნელაძე (50)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 10 | 9 | 0 | 1 | 295: 69 | 40- 4 | 18 |
| გუმარი | 10 | 9 | 0 | 1 | 339: 69 | 49- 4 | 18 |
| აია | 8 | 6 | 0 | 2 | 280: 36 | 34- 4 | 12 |
| ქორები | 9 | 5 | 0 | 4 | 173: 99 | 19- 7 | 10 |
| გელათი | 10 | 4 | 1 | 5 | 114:202 | - | 9 |
| აზოტი | 9 | 3 | 1 | 5 | 91:140 | 12-18 | 6 |
| ლელო | 10 | 1 | 0 | 9 | 94:313 | 10-46 | 2 |
| დინამო | 10 | 0 | 0 | 10 | 53:459 | - | 0 |

ყოჩები გუმარს პირად შეხვედრაში მოგების წყალობით უსწრებენ

შემდეგი ტური პარასკევსა და შაბათს გაიმართება. 21 ივნისს ითამაშებენ: დინამო — აზოტი და გუმარი — ლელო; 22 ივნისს: გელათი — ქორები

**როგორც ყოველთვის**, წაგებული გუნდი უკმაყოფილო დარჩა მსაჯობით. ეს ქართული რაგბის ჯერჯერობით მოურჩენელი სენია.

სამწუხაროდ, მწვრთნელები არაფერს აკეთებენ საიმისოდ, მოთამაშეებს მსაჯის გადაწყვეტილებათა უკრიტიკოდ და უანალიზოდ ცნობა რომ ჩააგონონ.

არადა, ისე ჩანს, რომ ქართველი მობურთალები მსაჯის ქმედების განსჯას უფრო მეტ ენერგიას ახმარენ, ვიდრე საკუთრივ თამაშს, თუმცკი ეს კონკრეტული თამაში რა მოსატანი იყო იმასთან, რაც სხვა დროს და სხვა სპორტშიც გვინახავს.

ამჯერად ყველაფერი მშვიდობით დასრულდა.

### ზელანდია სამოთხე როდია

ზელანდია ვულკანთა ქვეყანა რომაა, თავის თავზე გამოსცადეს შოტლანდიელებმა, იქ ტურნეს რომ მართავენ.

შაბათს სქოთებს ოქლენდის „იდენ პარკზე" მეორე და ბოლო ტესტი ელით, გუშინ კი ჩრდილოეთი კუნძულის ქალაქ როტორუაში იქაურ „სიუხვის ყურესთან" უნდა ეთამაშათ, მაგრამ ქალაქიდან სამხრეთით მდებარე, 60 მილით დაშორებული ვულკანი ამოიფრქვა, ქარმა კი ვულკანური ფერფლი როტორუასკენ წაიღო.

თამაშის გამართვა კარგა ხანს სათუო იყო. ბედად, თამაშის დღეს ქარმა ეხლა უკვე სხვა მხარეს დაუბერა და უილბლო სტუმრებსაც ბოლო პროვინციული მატჩი გამართვა დაანება.

ვასრულებთ ყველა სახის ელექტრო, გაჯისა და სამღებრო („სამალიარ.ო") სამუშაოებს შეღავათიან ფასებში. ხარისხი გარანტირებულია.

ტელ: 95-74-72 (3 საათის შემდეგ) იკითხეთ თემური, ბიჭიკო

[illegible]

ბრიტანელებმა ოლიმპიადის შესარჩევი [illegible] ჩაამთავრეს ბირმინგემში, [illegible] ატლანტაში უქმეებზე დაიწყეს და ლამისაა ოლიმპიადის ყაიდაზე გაწელონ.

# აშშ ულუისოდ?



ლეგენდარული ამერიკელი, 34 წლის კარლ ლუისი, რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონი რომაა, მეხუთედ ცდილობს ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრას, მაგრამ შანსი სულ უფრო ცოტა რჩება. კარლი 100 მეტრზე სირბილის ფინალში კი გავიდა, მაგრამ იქ ბოლო, მერვე ადგილზე დარჩა. გაიმარჯვა დენის მიჩელმა.

კარლი მერე სიგრძეზე ხტომის ფინალშიც გაძვრა. თუ აქაც ვერ ივარგა, მერე 200 მეტრი და სპრინტერული ესტაფეტა რჩება მარაგში.

ბრიტანელებმა უკვე გამოაცხადეს ატლანტაში წასაყვანი 44 კაცი და 28 ქალი. ამათ სიაშია 40 წლის შუბის მტყორცნელი თესა სანდერსონი, მეექვსე ოლიმპიადაზე რომ წავა და ვინაც 1984 წელს ლოს-ანჯელესში ოლიმპიური ჩემპიონი იყო. სამაგიეროდ, სამმხტომელ ჯონათან ედვარდსსა და შუბოსან სთივ ბაქლის ტრავმები ანუხებთ, რის გამოც ბირმინგემში არ უასპარეზიათ. 30 ივნისს გეითსჰედში ბრიტანელებს კიდევ ერთი შეჯიბრი აქვთ და ვინც იქ გამოიჩენს თავს, ნაკრებში მოხვედრა კიდევ შეეძლება.

დიდი სპრინტერი ლინფორდ ქრისთი ბრიტანელებმა 100 მეტრზეც განაცხადეს და 200-ზეც, მაგრამ ესა არა ჩქარობს და ოლიმპიადაზე შეიძლება არც იასპარეზოს, ვინაიდან სულ მთლად საჩემპიონო ფორმაში ვერაა, ბარონ კუბერტენის დევიზი კი, მთავარი მონაწილეობაა და არა გამარჯვებაო, ვერ ხიბლავს. ქრისთიმ ბირმინგემში გაიმარჯვა 100 მეტრზე, მაგრამ 200 მეტრზე ჯონ რიჯისთან წააგო.

**რეზო ნემსაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ყოველდღე, კვირის გარდა. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29

### დამრტყმელთა შეჯიბრი

